



სოფ. განძის, სოფ. ეშტიის, სოფ. სათხეს გზების მოასფალტებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

71300000 - საინჟინრო მომსახურებები

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ნინოწმინდა
2015 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად. (იხ. <http://procurement.gov.ge/>)

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5. სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ მოითხოვება

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. პრეტენდენტებმა სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინონ:

ა) რეკვიზიტები (დანართი 1)

ბ) გასაწევი მომსახურების განფასება (დანართი № 2)

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მინიმუმ ორწლიანი (2013, 2014 წ.წ.) გამოცდილება და ჯამური თანხა უნდა შეადგენდეს 30000 (ოცდაათი ათასი) ლარს. რაზეც მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას მიწოდებაზე გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტაციის რეესტრი (დანართი #3)

დ) პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს შესაბამისი პროფილის სპეციალისტები. აღნიშნულის თაობაზე მან უნდა წარმოადგინოს ამ სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ ინფორმაცია ან/და დიპლომი. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ხელმძღვანელი პირის ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული (დანართი #4)

2.2. ანგარიშსწორების პირობები:

ა) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მისი სატენდერო წინადადება გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით დღგ-ს გარეშე, ხოლო თუ პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი, ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ, რათა მოხდეს ამ თანხის გათვალისწინება ხელშეკრულებაში.

ბ) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

დ) ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3. მომსახურების მიწოდების ადგილია: საქმცხე-ჯავახეთი, ნინოწმინდა.

2.4. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში

2.5. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი .

2.6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: სატენდერო კომისიის წევრი: საიათ მკვიანი, ტელ. 591-91-89-98, ელ. ფოსტა: gnotinotsminda@mail.com

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სოფ. განძის, სოფ. ეშტიის და სოფ. სათხის გზის მოასფალტებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

(მოასფალტების სამუშაოების ღირებულებაა 2 250 000 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)).

1. **სოფ. განძა** – აღნიშნული გზის მონაკვეთი ცენტრალურ გზას აკავშირებს ვაჰან - ტერიანის სახელობის სახლ მუზეუმთან აუცილებელია საპროექტო – გამოკვლევითი სამუშაოების ჩატარება, ადგილობრივი მასალის (ხრემის) გამოყენების გათვალისწინებით. ქუჩების სავალი ნაწილის ქვეშ აუცილებელია 20 სმ სისქით მოხრეშვა, ბაზალტური ღორღის 10 სმ სისქის მომზადება და ორფენიანი ასფალტობეტონური საფარის მოწყობა 10 სმ მთლიანი სისქით. გზაზე ტროტუარების გათვალისწინების საჭიროება არ არის. ტროტუარების ნაცვლად გზის პირებზე უნდა გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი კარიერების ხრეში – **მოასფალტდება 1400 მ გზა.**

2. **სოფ. ეშტია** – აუცილებელია საპროექტო – გამოკვლევითი სამუშაოების შესრულება, ადგილობრივი მასალის (ხრემის) გამოყენების გათვალისწინებით. ქუჩების სავალი ნაწილის ქვეშ აუცილებელია 20 სმ სისქის მოხრეშვა, ბაზალტური ღორღის 10 სმ სისქის მომზადება და ორფენიანი ასფალტობეტონური საფარი 10 სმ მთლიანი სისქით. ეზოებში შემავალი გზის ნაწილებში გათვალისწინებული უნდა იყოს ასფალტობეტონური საფარი 5 სმ სისქით.

პროექტის ტექნიკურ ნაწილში ქალაქის მხრიდან, ეზოების შესასვლელებში და გზაჯვარედინებზე აუცილებელია გათვალისწინებულიყოს არსებული რკინაბეტონური არხების(რკინის გადახურვებით), და ფოლადი მილების d=500

მმ მოწყობა(აღნიშნული სამუშაოები არ უნდა შედიოდეს პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში). გზის დანარჩენ ნაწილზე ტროტუარების გათვალისწინების საჭიროება არ არის. ტროტუარების ნაცვლად გზის ორ მხარეს უნდა გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი კარიერების ხრეში – **მოასფალტდება 1700 მ გზა. (ამ შემთხვევაში უნდა მომზადდეს ორი პროექტი, ერთი 500 000 ლარის ღირებულების და მეორე 450 000 ლარის ღირებულების)**

3. **სოფ. სათხე** – ამ მიზნით აუცილებელია საპროექტო – გამოკვლევითი სამუშაოების შესრულება, ადგილობრივი მასალის (ხრემის) გამოყენების გათვალისწინებით. ქუჩების გასავალი ნაწილის ქვეშ აუცილებელია 20 სმ სისქის მოხრეშვა, ზახალტური ღორღის 10 სმ სისქის მომზადება, და ორფენიანი ასფალტობეტონური საფარი 10 სმ მთლიანი სისქით. გზაზე ტროტუარების გათვალისწინების საჭიროება არ არის. ტროტუარების ნაცვლად გზის პირებზე უნდა გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი კარიერების ხრეში – **მოასფალტდება 1200 მ გზა.**

- მზა პროექტები წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწვევის დასრულებამდე 3 დღით ადრე, რათა მოხდეს პროექტის დეტალურად გაცნობა და მასში არსებული შესაძლო ხარვეზების დროული აღმოფხვრა.
- **ნებისმიერი საკითხის წარმოქმნის შემთხვევაში აუცილებელია შეთანხმება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტებთან.**

3.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: **57203 ლარი დღგ-ს გარეშე.**

3.3. მომწოდებელმა უნდა მოახდინოს:

– შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტებზე გასვლა, მითითებულ სამუშაოებზე საკვლევაძიებო სამუშაოების ჩატარება, საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა–დაზუსტება და შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შემსყიდველისათვის მიწოდება, როგორც ბეჭდური (**ხუთი ეგზემპლარი**) ასევე ელექტრონული ფორმით

აუცილებელი მოთხოვნა: (ელექტრონული სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს გარკვევით და თანამიმდევრული, უნდა ემთხვეოდეს და იყოს ბეჭდური ეგზემპლარის ანალოგი, ნახაზების მოცულობა შეძლებისდაგვარ მცირე უნდა იყოს 1 გბ–მდე უნდა იყოს).

– შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

– მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სააგრო სედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწვევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტიფიკაციის დადასტურება.

– წარმოდგენილი უნდა იყოს:

1. განმარტებითი ბარათი.

2. საპროექტო სამუშაოებზე შესაბამისი ნახაზები და ესკიზები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ხარჯთაღრიცხვების ცხრილი.

5. სამუშაო მაღის მოძრაობის გრაფიკი და კალენდარული გეგმა.

6. ძირითადი სამშენებლო მასალებისა და პროდუქციის მოთხოვნა.

3.4. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ვარგისიანობა და სიზუსტე უნდა იყოს დადასტურებული ექსპერტიზის მიერ, ექსპერტიზის თანხა შედის შესყიდვის ობიექტის ღირებულებაში, რომელიც უნდა უზრუნველყოს მომწოდებელმა.

3.6. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და საექსპერტო დასკვნა მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ერთდროულად.

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ხელშეკრულება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება და დაიხვეწება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. ნინოწმინდა

2015 წლის _____

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) გამგებლის, გაგიკ კარსლიანის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში მომწოდებელი), მისი დირექტორის _____ სახით, ვდებთ წინამდებარე

ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) – ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” – ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის საგანს წარმოადგენს: **სოფ. განძაში, სოფ. ეშტიაში და სოფ. სათხეში გზების მოასფალტებისთვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.**

2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს _____ ლარს. მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია: უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების შესრულება დროულად და ხარისხიანად.

4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

5. სტანდარტები

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული მომსახურება უნდა შესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განახორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული ფიზიკურად შესრულებული სამუშაოს, მომსახურების და საქონლის შესყიდვის ინსპექტირების სამუშაო ჯგუფი – რომელიც შექმნილია გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

7. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

7.3. მზა პროექტები წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულებამდე 3 დღით ადრე, რათა მოხდეს პროექტის დეტალურად გაცნობა და მასში არსებული შესაძლო ხარვეზების დროული აღმოფხვრა.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოჩენის შესახებ.

7.4. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. თუ მიმწოდებელი ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.3 შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს: **ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური.**

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10 კალენდარული დღის** განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

12.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

12.4 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 30 %-ს, შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ორგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუფხავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოანახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტის. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

17.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

17.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილი: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ.43.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 18.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 18.2. მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.
- 18.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და სამივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიულ ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან.
- 18.4. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან _____.

19. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

1. პრეტენდენტის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტი: _____

(ხელისმოწერა და ბეჭედი)

ფასების ცხრილი

№	საპროექტო მომსახურების დასახელება	ღირებულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე ლარებში
1	სოფ. განძაში, სოფ. ეშტიაში და სოფ. სათხეში გზების მოასფალტებისთვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.	

ხელმოწერა, ბეჭედი _____

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესახებ

პრეტენდენტი _____

#	შემსყიდველი ორგანიზაცია	სამუშაოს დასახელება (SPA,SMR ნომრები)	მოწოდებაზე გაფორმებული დოკუმენტი (ხელშეკრულება)			მოწოდების ვადები
			თარიღი	ნომერი	ღირებულება	
2013 წელი						
1						
2						
2014 წელი						
1						
2						

შენიშვნა: SPA,SMR ნომრები აუცილებელია რათა გადამოწმდეს პრეტენდენტის მიერ შესრულებული მომსახურების ანალოგიურობა.

ხელმოწერა, ბეჭედი _____

ინფორმაცია პრეტენდენტის სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

#	სახელი, გვარი	თანამდებობა	სპეციალობა დიპლომის მიხედვით	ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება (წელი)

ხელმოწერა, ბეჭედი _____